KRESTON

საბროკერო კომპანია
შპს აბბი ასეტ მენეჯმენტი

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

საბროკერო კომპანია
შპს აბბი ასეტ მენეჯმენტი

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა 1

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა 2

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება 4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 6
ფულადი სახსრების მოძრაობს ანგარიშგება 7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 8-20

შპს აბბი ასეტ მენეჯმენტი

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული

ფინანსური ანგარიშგება

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია საბროკერო კომპანია შპს „აბბი ასეტ მენეჯმენტი"-ის ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

· ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

· ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ გამოყენებას;

· დასაბუთებული და წინდახედული საღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;

· ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

· შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;

· აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი საღრიცხვო ჩანაწერები;

· მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას კომპანიის აქტივები;

· თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამობები და დარღვევები.

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია:

ნატალია მამიაშვილი

დირექტორი
საბროკერო კომპანია შპს აბბი ასეტ მენეჯმენტი

Abbey Asset Management
ABBEY
205207970

მაია სამუნაშვილი

მთავარი ბუღალტერი
საბროკერო კომპანია შპს აბბი ასეტ მენეჯმენტი

თარიღი: 28 მარტი, 2016

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

საბროჯერო კომპანია შპს აბბი ასეტ მენეჯმენტის ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ საბროჯერო კომპანია შპს „აბბი ასეტ მენეჯმენტი"-ს („კომპანია") თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვან საანრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; შესაბამისი საანრიცხვო პოლიტიკების შერჩევას, მათ მიზანმიმართულად გამოყენებას და სიტუაციისათვის შესაბამისი საანრიცხვო შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები ჩვენგან მოითხოვს ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობას და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი მოიცავს პროცედურებს, აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. კონკრეტული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, რაც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომებით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკის შეფასებას. რისკის ასეთი შეფასებისას, აუდიტორი განიხილავს იმ შიდა კონტროლის მექანიზმებს, რომელიც მნიშვნელოვანი და შესაფერისია ჯგუფის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რათა დაგეგმოს არსებული პირობებისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოხატოს საკუთარი მოსაზრება ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე მოიცავს გამოყენებული საანრიცხვო პოლიტიკის შესაფერისობის შეფასებასა და მენეჯმენტის მიერ გაკეთებული საანრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობის, ასევე, მთლიანობაში ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი საკითხის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრისთვის, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას პერიოდისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

მნიშვნელოვანი გარემოების აბზაცი

ჩვენ გვსურს ყურადღება გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ ვერ მოვიპოვეთ პირდაპირი დასტურის წერილი და ვერც ამონაწერი ანგარიშგებაში მოცემული ერთ-ერთი საბანკო ანგარიშის შესახებ, რომელიც გახსნილია საქართველოს საზღვრებს გარეთ. ანგარიშგებაში აღნიშნულ ანგარიშზე ნაშთი მოცემულია 463 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის (GBP) ოდენობით ეროვნულ ვალუტაში. ჩვენ განვახორციელეთ ალტერნატიული პროცედურები, რომლის შედეგადაც არ გამოვლენილა ისეთი ტრანზაქციები ან დოკუმენტაცია, რომელიც მიუთითებდა აღნიშნულ ანგარიშზე განსხვავებული ნაშთის არსებობაზე.
მნიშვნელოვანი გარემოების აბზაცი არ წარმოადგენს მოსაზრების მოდიფიცირების საფუძველს.

შპს "ჯრესტონ პაპიაშვილი კონსალტინგ გრუპ"
28.03.2017

Papiashvili Consulting Group LLC

შპს აბბი ასეტ მენეჯმენტი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31/12/2016	კონსოლიდირებული 31/12/2015
საბროკერო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	5	156 657	75 562
საპროცენტო შემოსავალი		16 817	7 894
იჯარიდან შემოსავალი		100 877	101 194
სულ შემოსავალი		**274 351**	**184 649**
გაცემული ხელფასი და სხვა სარგებელი		(48 406)	(44 504)
ადმინისტრაციული ხარჯები	6	(148 617)	(136 330)
შვილობილების ლიკვიდაცია		(48 967)	
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)		41 395	77 824
სულ ხარჯები		**(204 595)**	**(103 010)**
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**69 756**	**81 640**
მოგების გადასახადის (ხარჯი) / სარგებელი	7	(13 768)	(12 867)
საანგარიშგებო წლის მოგება/(ზარალი)		**55 988**	**68 772**
ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების ცვლილება, რომელიც სხვა სრულ შემოსულობებში აღიარდება	8	-	(3 944)
სულ სრული შემოსავალი		**55 988**	**64 829**

ნატალია მამიაშვილი
დირექტორი

მაია სამუნაშილი
მთავარი ბუღალტერი

თარიღი: 28 მარტი 2017

შპს აბბი ასეტ მენეჯმენტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31/12/2016	კონსოლიდირებული 31/12/2015
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	29 277	61 093
საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით	10	464 851	295 384
გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები	11	83 992	83 992
მარაგები		4 512	1 358
ძირითადი საშუალებები	12	32 043	38 139
სხვა აქტივები	13	88 961	97 155
სულ აქტივები		**703 635**	**577 121**
ვალდებულებები			
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		10 916	9 840
სხვა ვალდებულებები	14	28 845	5 696
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება		0	867
სულ ვალდებულებები		**39 761**	**16 402**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200 000	200 000
აკუმულირებული სხვა სრული შემოსავლები		(3 944)	(3 944)
გაუნაწილებელი მოგება		467 818	364 662
სულ კაპიტალი		**663 874**	**560 719**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**703 635**	**577 121**

ნატალია მამიაშვილი
დირექტორი

Abbey Asset Management
ABBEY
205207970

მაია სამუნაშილი
მთავარი ბუღალტერი

თარიღი: 28 მარტი 2017

შპს აბბი ასეტ მენეჯმენტი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული სხვა სრული შემოსავლები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31/12/2014	**200 000**	**-**	**295 890**	**495 890**
ცვლილება გადაფასების რეზერვში	-	-	-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	-	68 772	**68 772**
სხვა სრული შემოსავლები/(ხარჯები)	-	(3 944)	-	**(3 944)**
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
31/12/2015	**200 000**	**(3 944)**	**364 662**	**560 719**
შვილობილების ლიკვიდაცია *	-	-	47 167	**47 167**
ცვლილება გადაფასების რეზერვში	-	-	-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	-	55 988	**55 988**
სხვა სრული შემოსავლები/(ხარჯები)	-	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
31/12/2016	**200 000**	**(3 944)**	**467 818**	**663 874**

*2015 წლის გაუნაწილებელი მოგება მოიცავდა კონსოლიდირებული შვილობილი კომპანიების ზარალს 47 167 ლარის ოდენობით. როგორც მოცემული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებშია აღნიშნული, 2016 წელს ორივე შვილობილი კომპანიის ლიკვიდაცია დასრულდა. ამის შედეგად დაკორექტირდა კომპანიის გაუნაწილებელი მოგება. ის აღარ წარმოადგენს კონსოლიდირებულს.

ნატალია მამიაშვილი
დირექტორი

მაია სამუნაშილი
მთავარი ბუღალტერი

თარიღი: 28 მარტი 2017

შპს აბბი ასეტ მენეჯმენტი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	31/12/2016	კონსოლიდირებული 31/12/2015
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საბროკერო საქმიანობიდან მიღებული თანხები	151 486	43 467
ფულადი ნაკადები საიჯარო მომსახურებიდან	118 005	112 421
მიღებული / (გადახდილი) პროცენტები	15 225	-
გადახდილი ხელფასები და სხვა სარგებელი	(42 163)	(42 446)
სხვა გადახდილი თანხები	(148 591)	(218 813)
წმიდნა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**93 961**	**(105 370)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები	(4 824)	(705)
ფულადი სახსრების გადატანა 90 დღეზე მეტი ვადის დეპოზიტებზე	(401 587)	(269 640)
ფულადი სახსრების დაბრუნება 90 დღეზე მეტი ვადის დეპოზიტებიდან	275 292	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(131 119)**	**(270 345)**
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	5 340	60 025
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ცვლილება	**(31 817)**	**(315 690)**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	**61 093**	**376 783**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**29 276**	**61 093**

ნატალია მამიაშვილი
დირექტორი

მაია სამუნაშილი
მთავარი ბუღალტერი

თარიღი: 28 მარტი 2017

1. ზოგადი ინფორმაცია

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საბროჯერო ჯომპანია შპს „აბბი ასეტ მენეჯმენტი"-ს („ჯომპანია") 2016 წლის ფინანსურ მონაცემები, მისი შვილობილი ჯომპანიების: სს "ლიბერთი ფაინენშლ ოფორთიუნითიზ"-ის და სს "ბელარაშან ინვესთმენთს"-ის ლიკვიდაციის შედეგად წარმოქმნილი შედეგების გათვალისწინებით.

შპს "აბბი ასეტ მენეჯმენტი" დარეგისტრირდა ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2007 წლის 31 მაისს. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულია, როგორც საბროჯერო ჯომპანია. ჯომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აქტივების/საინვესტიციო ფონდების მართვა. მისი ფაქტიური და იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი, №74. ჯომპანიის 100% მეწილე არის საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის და ჩრდ. ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მოქალაქე - ბიძინა ბეჟუაშვილი. ჯომპანიას არ გააჩნია ფილიალები და წარმომადგენლობები.

ჯომპანიას მიმდინარე 2016 წლამდე გააჩნდა 100 %-იანი წილობრივი მონაწილეობა ორ შვილობილ საწარმოში: სს „ბელარაშან ინვესთმენთს" და სს „ლიბერთი ფაინენშლ ოფორთიუნითიზ".

სს „ბელარაშან ინვესთმენთს" ჯომპანიამ დააფუძნა 2008 წლის 14 მაისს. ჯომპანიის შექმნისას მისი საქმიანობის ძირითად საგნად განსაზღვრული იყო საინვესტიციო საქმიანობა, თუმცა ამ ჯომპანიას არასოდეს განუხორციელებია რაიმე საქმიანობა. 2016 წლის იანვარში ამ ჯომპანიის ლიკვიდაცია მოხდა.

სს „ლიბერთი ფაინენშლ ოფორთიუნითიზ" დაფუძნებულია 2008 წლის 3 სექტემბერს. ჯომპანიის შექმნისას მისი საქმიანობის ძირითად საგნად განსაზღვრული იყო საინვესტიციო საქმიანობა, თუმცა 2010 წლის შემდეგ ამ ჯომპანიას არ განუხორციელებია რაიმე საქმიანობა და 2016 წლის ივლისში მისი ლიკვიდაციაც მოხდა.

2. საანრიცხვო პრინციპები

2.1 წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ჯომპანია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

2.2 საანგარიშგებო ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ქართულ ლარში (GEL), თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2.3 კონსოლიდაციის საფუძვლები

2015 წლის შესადარისი მონაცემები წარმოადგენს კონსოლიდირებულს აქ მოცემულ საფუძვლებზე დაყრდნობით:

კონსოლიდირებულია შვილობილი საწარმოები, რომლებიც წარმოადგენენ ისეთ კომპანიებს, რომელშიც კომპანიას ნახევარზე მეტი ხმის უფლება აქვს ან სხვა მხრივ გააჩნია შესაძლებლობა მართოს მათი ფინანსური ან საოპერაციო პოლიტიკა ისე, რომ სარგებელი მიიღოს მათი საქმიანობიდან. ჯგუფის მიერ სხვა საწარმოს კონტროლის შეფასების დროს გაითვალისწინება ხმის უფლების არსებობა და მისი მოსალოდნელი შედეგები. შვილობილი საწარმოს კონსოლიდირება ხდება იმ თარიღიდან, როცა კონტროლი გადადის კომპანიაზე (შეძენის თარიღი) და დეკონსოლიდირდება მაშინ, როცა კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების ანალოგიური მუხლები დაჯამებულია ერთმანეთთან და შემდეგ შვილობილ კომპანიებში სათაო კომპანიის ინვესტიციის საბალანსო ღირებულება ელიმინირებულია შვილობილი კომპანიების კაპიტალში სათაო საწარმოს წილის საპირისპიროდ.

სათაო კომპანიის ფინანსური ანგარიშგება იმავე მეთოდებით და იმავე პერიოდისთვისაა მომზადებული, როგორც შვილობილი კომპანიებისა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის დროს მსგავს ტრანზაქციებსა და სხვა მოვლენებთან მიმართებაში გამოყენებულია ერთგვაროვანი პოლიტიკა.

2016 წელს, შვილობილების ლიკვიდაციის შედეგად, შვილობილ კომპანიებში სათაო კომპანიის ინვესტიციის საბალანსო ღირებულება აღიარებულია პერიოდის ხარჯად, ხოლო წინა წლებში კონსოლიდირებული შვილობილების ზარალი მოხსნილია გაუნაწილებელი მოგება/ზარალის ანგარიშიდან.

3. ძირითადი საალრიცხვო პოლიტიკა

(ა) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს არსებულ ნაღდ ფულს, დეპოზიტებს ბანკებში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს. ასევე ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის ვადა 90 დღეზე ნაკლებია. საბანკო ოვერდრაფტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა ვალდებულებების სახით.

ბანკში განთავსებული სამ თვეზე მეტი დაფარვის თარიღის მქონე დეპოზიტები გამოკლებულია ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების მუხლიდან და ნაჩვენებია ცალკე, ამორტიზირებული ღირებულებით.

(ბ) მარაგები

მარაგები ნაჩვენებია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს და ყველა იმ დანახარჯს, რომელიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილზე და მდგომარეობაში მოსაყვანად. თვითღირებულების გაანგარიშებისას გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გაშლილი ხელის პრინციპით განსაზღვრული მიახლოებით სარეალიზაციო ფასის და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებს შორის სხვაობით.

(გ) ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში

ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში თავდაპირველად აღიარდება და შემდგომში წარედგინება ინვესტიციის რეალური ღირებულებით. ჩვეულებრივ, კაპიტალის ინსტრუმენტებში ინვესტიციის რეალური ღირებულება აღიარების მომენტში მისი შეძენის ფასის ტოლია. თუკი შეძენის ფასი განსხვავდება შეძენის მომენტში ინვესტიციის რეალური ღირებულებისაგან, მაშინ ეს განსხვავება აღიარდება შემოსავლად ან ზარალად.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ კაპიტალის ინსტრუმენტებში ინვესტიციების რეალური ღირებულების ცვლილება აღიარდება სხვა სრულ შემოსულობებში, თუკი ეს ინვესტიცია არ არის განკუთვნილი სავაჭროდ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში რეალური ღირებულების ცვლილებები აღიარდება მოგება-ზარალში.

(დ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც იმყოფება საწარმოს მფლობელობაში და გამოიყენება მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივების შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

კომპანია ძირითადი საშუალებების სხვადასხვა ჯგუფებისთვის იყენებს შეფასების განსხვავებულ მეთოდებს.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ სატრანსპორტო საშუალებები აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რაც არის გადაფასების

თარიღისათვის აქტივის რეალური ღირებულება, მინუს შემდგომი აკუმულირებული ცვეთა და შემდგომი აკუმულირებული გაუფასურება.

გადაფასებები ტარდება საკმარისი სიხშირით იმ მიზნით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულების შეფასება. სატრანსპორტო საშუალებების რეალური ღირებულების განსაზღვრა ხდება ბაზარზე დაფუძნებული მტკიცებულებების საფუძველზე პროფესიონალი შემფასებლების მიერ.

გადაფასების სიხშირე დამოკიდებულია გადაფასებული აქტივის რეალური ღირებულების ცვლილებაზე. როდესაც გადაფასებული აქტივის რეალური ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისგან, ხელახლა ხდება აქტივის გადაფასება. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. თუ ძირითადი საშუალებების ჯგუფიდან ერთი კონკრეტული აქტივი გადაფასდა, გადაფასდება მთლიანად ის ჯგუფი, რომელიც ამ აქტივს შეიცავს. შემდგომი ცვეთა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით, რომელიც გადანაწილებულია სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

ძირითადი საშუალებების სხვა დანარჩენი ჯგუფები აღრიცხულია დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ აქტივის შეძენას უკავშირდება.

შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარებულია როგორც ცალკე აქტივი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივიდან კომპანია სამომავლოდ მიიღებს სარგებელს და შეფასებულია საიმედოდ. აქტივების მიმდინარე რემონტის (შეკეთების) და შენახვის დანახარჯები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მათი გაწევის პერიოდის მიხედვით.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
კომპიუტერული ტექნიკა და ოფისის აღჭურვილობა	5 წელი

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა ამორტიზირდება გაუმჯობესების სასიცოცხლო ვადასა და კონტრაქტის ვადას შორის უმცირესის განმავლობაში.

(ე) მოგების გადასახადი

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების გადასახადი შეადგენს 15%-ს. ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადის გამოთვლა ხდება ანგარიშგების მომზადების მომენტში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების და შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების მონაცემების გამოყენებით.

(ვ) სხვა აქტივები

ჯგუფის სხვა აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდგომში წარედგინება ამორტიზირებული თანხით.

(ზ) მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

მომსახურებიდან წარმოქმნილი და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მათი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

(თ) შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საბროკერო საქმიანობიდან მიღებული საკომისიო და სხვა შემოსავალი და ხარჯი ჩვეულებრივ აღიარდება დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, მაშინ როცა მომსახურება მიიღება ან გაწეულ იქნება.

(ი) უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2015 და 2016 წლების 31 დეკემბრისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების ლარში გადაყვანისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსები იყო:

ვალუტა	31/12/2016	31/12/2015
აშშ დოლარი (USD)	2.6468	2.3949
ევრო (EUR)	2.7940	2.6169
გირვანქა სტერლინგი (GBP)	3.2579	3.5492

4. კრიტიკული საალრიცხვო შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საალრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში, ხელმძღვანელობას სჭირდება მსჯელობების, შეფასებების და დაშვებების გამოყენება ისეთი აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებების განსაზღვრისათვის, რომელთა

ღირებულება სხვა მხრივ ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება. გამოყენებული შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ხელმძღვანელობის წარსულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ინფორმაციას. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებებისაგან. შეფასებები და დაშვებები მუდმივი გადახედვის და ხელახლა განხილვის საგანია. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ხდება შეფასების გადახედვა. შემდეგ ტექსტში მოცემულია ის ძირითადი დაშვებები, რომლებიც ეხება მომავალ მოვლენებს და აღწერილია ის წყაროები, რომელსაც ეყრდნობა მენეჯმენტი ამ შეფასებების გაკეთებისას და რომლებიც შეიცავენ მნიშვნელოვან რისკს იმისა, რომ არსებითი ცვლილებები გამოიწვიონ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი აქტივების და ვალდებულებების თანხებში.

(ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადას აფასებს მენეჯმენტი. შეფასება გამომდინარეობს მსგავს აქტივებზე წარსული გამოცდილებიდან. ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას გაითვალისწინება აქტივის მოსალოდნელი გამოყენება, მიახლოებითი ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო სადაც აქტივი გამოიყენება. აღნიშნულ შეფასებებში ან მდგომარეობებში ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს მომავალი ცვეთის ნორმებში ცვლილებები.

(ბ) გადაფასების მოდელით აღრიცხული ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულებები

სატრანსპორტო საშუალებების რეალური ღირებულება, რომლებიც ბასს 16-ის გადაფასების მოდელით არის აღრიცხული, ფასდება შემფასებლების ანგარიშებზე დაყრდნობით. შეფასების პროცესი თავისთავად მოითხოვს სხვადასხვა დაშვებებისა და მსჯელობების გამოყენებას და ამდენად კომპანიის სატრანსპორტო საშუალებების რეალური ღირებულება შესაძლოა განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რითაც ისინი წარდგენილია ბალანსში.

(გ) გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას. აღნიშნული კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება კომპანიის ტრანზაქციებისა და საქმიანობის აღრიცხვისა და მართვისათვის, შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს ან არასწორად იქნეს მიჩნეული რეგიონალური და ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოების მიერ განსხვავებულად იქნას დარიცხული გადასახადები, რაც გამოიწვევს თავდაპირველად აღიარებული თანხების ცვლილებას.

5. საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი

აღნიშნული შემოსავალი წარმოადგენს საშუამავლო საქმიანობით მიღებულ შემოსავალს, რაც 2015 წელთან შედარებით 2016-ში გაზრდილია 107%-ით.

6. ადმინისტრაციული ხარჯები

	2016 წელი	2015 წელი
საიჯარო ქირა	98 148	101 238
ცვეთა და ამორტიზაცია	10 920	11 114
ავტომობილის შენახვის ხარჯი	5 376	5 331
რემონტის ხარჯი	4 185	671
კომუნიკაციის ხარჯი	985	1 120
საკონსულტაციო ხარჯი	10 033	9 120
მივლინების ხარჯი	6 588	-
სხვა ხარჯი	12 384	7 736
სულ საერთო და ადმ. ხარჯები	**148 618**	**136 330**

7. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი	2016 წელი	2015 წელი
მიმდინარე მოგების გადასახადი	(14 635)	(6 862)
გადავადებული გადასახადის ცვლილება	867	(6 005)
სულ მოგების გადასახადის (ხარჯი) / სარგებელი	**(13 768)**	**(12 867)**

2015 წლის ბოლოს ნაშთად არსებული გადავადებული მოგების გადასახადი (867 ლარი) გამოწვეულია ძირითადი საშუალებების საგადასახადო ბაზასა და ფასს-ით ბალანსში ნაჩვენებ ღირებულებას შორის სხვაობით.

2017 წლის იანვრიდან, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების გადასახადის დათვლის მოდელი შეიცვალა და ძირითადად იბეგრება მხოლოდ დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, არსებული სახის განსხვავება მომავალში გავლენას აღარ მოახდენს მოგების გადასახადზე და არ ექნება ადგილი არსებული სხვაობის ცვლილებას. ამიტომ, გადავადებული მოგების გადასახადი მთლიანად აისახა 2016 წლის მოგების გადასახადის ხარჯზე.

8. სხვა სრული შემოსავალი

2016 წლის განმავლობაში ბაზარზე არ განხორციელებულა კომპანიის ფლობილი აქციებით ვაჭრობა და შესაბამისად არ შეცვლილა მათი რეალური ღირებულება, რასაც კომპანია სხა დროს სხვა სრულ შემოსავალში ასახავს.

9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკ., 2016	31 დეკ., 2015
ნაღდი ფული სალაროში	-	-
ფული ბანკში	29 277	61 093
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**29 277**	**61 093**

ფულადი სახსრები ვალუტების მიხედვით	31 დეკ., 2016	31 დეკ., 2015
GEL	14 640	14 851
USD	8 076	39 111
GBP – საქართველოში არსებულ ბანკების ანგარიშებზე	5 045	5 489
GBP – ლონდონში არსებული ბანკის ანგარიშზე	1 509	1 636
EUR	6	6
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**29 277**	**61 093**

10. საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით

საბანკო დეპოზიტები ვალუტების მიხედვით	31 დეკ., 2016	31 დეკ., 2015
დეპოზიტები ლარში (GEL)	20 000	
დეპოზიტები აშშ დოლარში (USD)	444 851	295 384
სულ საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით	**464 851**	**295 384**

11. გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები

ფასიანი ქაღალდები	31 დეკ., 2016	31 დეკ., 2015
"კავკასუს ენერჯი & ინფრასთრაქჩა"-ს აქციები	21 492	21 492
"კავკასუს ენერჯი & ინფრასთრაქჩა" (GDR)	58 400	58 400
სს "საქართველოს საფონდო ბირჟის" აქციები	4 100	4 100
სულ გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები	**83 992**	**83 992**

12. ძირითადი საშუალებები

2015 წელი	სატრანს-პორტო საშუა-ლებები	კომპიუტერული ტექნიკა და ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილ-მოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება				-
ნაშთი 31.12.2014 -სთვის	49 274	14 614	1 817	65 705
დამატება	-	3 704	-	3 704
გადაფასება	-	-	-	-
გასვლა	-	(212)	-	(212)
ნაშთი 31.12.2015	**49 274**	**18 106**	**1 817**	**69 197**
აკუმულირებული ცვეთა				
31.12.2014-თვის	(4 831)	(14 022)	(1 324)	(20 177)
პერიოდის ცვეთა	(9 855)	(965)	(273)	(11 093)
გაყიდული აქტივების დაგრ. ცვეთა	-	212	-	212
ნაშთი 31.12.2015	**(14 686)**	**(14 775)**	**(1 597)**	**(31 058)**
				-
წმინდა საბალანსო ღირებულება				
ნაშთი 31.12.2014 -სთვის	44 443	592	493	45 528
ნაშთი 31.12.2015	**34 588**	**3 331**	**220**	**38 139**

2016 წელი	სატრანს-პორტო საშუა-ლებები	კომპიუტერული ტექნიკა და ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილ-მოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება				-
ნაშთი 31.12.2015-თვის	49 274	18 106	1 817	69 197
დამატება	-	4 824	-	4 824
გადაფასება	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2016	**49 274**	**22 930**	**1 817**	**74 021**
				-
აკუმულირებული ცვეთა				
ნაშთი 31.12.2015	(14 686)	(14 775)	(1 597)	(31 058)
პერიოდის ცვეთა	(9 882)	(816)	(221)	(10 920)
გაყიდული აქტივების დაგრ. ცვეთა	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2016	**(24 568)**	**(15 592)**	**(1 818)**	**(41 977)**
				-
წმინდა საბალანსო ღირებულება				
ნაშთი 31.12.2015	34 588	3 331	220	38 139
ნაშთი 31.12.2016	**24 706**	**7 338**	**0**	**32 043**

13. სხვა აქტივები

	31 დეკ., 2016	31 დეკ., 2015
სავაჭრო მოთხოვნები (იჯარა)	11 081	10 164
ავანსად გადახდილი გადასახადები	30 191	45 756
სხვა ავანსები	1 168	772
სხვა მოთხოვნები	44 045	40 463
ბანკებისგან დეპოზიტებზე მისაღები პროცენტები	2 477	-
სულ სხვა აქტივები	**88 961**	**97 155**

14. სხვა ვალდებულებები

	31 დეკ., 2016	31 დეკ., 2015
დარიცხული გადასახადები	20 674	5 566
სხვა	18	131
პროცენტი სადეპოზიტო სერტიფიკატზე	8 153	-
სულ სხვა ვალდებულებები	**28 845**	**5 696**

15. რისკების მართვა

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის არის საბანკო ანგარიშებზე მისი ფულადი სახსრების და სხვა მისაღები თანხების ნაშთების ჯამის ტოლი, ანუ ეს არის ის თანხები, რაც სხვა მხარეებისგან არის მისაღები ბალანსის თარიღისთვის. ფულადი სახსრები განთავსებულია ისეთ ბანკებში, სადაც ფაქტიურად არ არსებობს იმის რისკი, რომ კომპანია მათგან ამ ფულს პირველივე მოთხოვნისას ვერ მიიღებს. დებიტორული დავალიანება ძირითადად სახელმწიფოსთვის ავანსად გადახდილი თანხებია, ხოლო დანარჩენი მისაღები თანხებიც ისეთი კომპანიებიდან არის, საიდანაც საკრედიტო რისკის წარმოქმნის ალბათობა მინიმალურია. აქედან გამომდინარე, კომპანიას არ გააჩნია არსებითი საკრედიტო რისკი.

(ბ) სავალუტო რისკი

31/12/2015	GEL	USD	GBP	EUR	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14 851	39 111	7 125	6	61 094
საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით	-	295 384	-	-	295 384
გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები	83 992	-	-	-	83 992
სხვა ფინანსური აქტივები	49 073	-	-	-	49 073
სულ	147 916	334 495	7 125	6	489 543
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	9 840	-	-	-	9 840
სხვა ფინანსური ვალდებულებები	79	-	-	-	79
სულ	9 919	-	-	-	9 919
სავალუტო პოზიცია	137 997	334 495	7 125	6	479 624

31/12/2016	GEL	USD	GBP	EUR	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14 640	8 076	6 554	6	29 277
საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით	20 000	444 851	-	-	464 851
გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები	83 992	-	-	-	83 992
სხვა ფინანსური აქტივები	57 507	-	-	-	57 507
სულ	176 139	452 927	6 554	6	635 626
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	10 752	-	-	-	10 752
სხვა ფინანსური ვალდებულებები	8 153	-	-	-	8 153
სულ	18 905	-	-	-	18 905
სავალუტო პოზიცია	157 234	452 927	6 554	6	616 721

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, კომპანია ძირითადად იმ სავალუტო რისკის წინაშე დგას, რომელიც წარმოიშვება აშშ დოლარის ლართან გაცვლითი კურსის ცვლილებით. კომპანიის მენეჯმენტი, ითვალისწინებს რა ქვეყანაში არსებულ პერიოდულ სავალუტო რყევებს, რაც უფრო მეტად ლარის გაუფასურებისკენ არის მიმართული, ცდილობს რომ მეტი აქტივი განათავსოს აშშ დოლარში.

(გ) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთში ცვლილებები უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე. კომპანიის ერთადერთი აქტივი, რომელიც საპროცენტო განაკვეთს შეიცავს არის საბანკო დეპოზიტები, რასაც მენეჯმენტის აზრით რაიმე მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკი კომპანიისთვის არ მოყვება.

(დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ზოგადად შეიძლება განსაზღვრულ იქნეს როგორც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობა. ჯგუფის ბალანსში წარმოდგენილი ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება არის მოკლევადიანი და ჯგუფის 2016 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ფინანსური აქტივები ფინანსურ ვალდებულებებს თითქმის 34-ჯერ აღემატება და შესაბამისად მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ჯგუფს არ გააჩნია ლიკვიდურობის მნიშვნელოვანი რისკი.

14. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

15. დაკავშირებული მხარეები

2016 წლის განმავლობაში რაიმე მნიშვნელოვანი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, გარდა მენეჯმენტის ხელფასის დარიცხვისა, არ ყოფილა.

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები	2016 წელი	2015 წელი
მენეჯმენტის დარიცხული ხელფასი:	21 438	19 575
სულ	**21 438**	**19 575**

16. მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები

(ა) გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების შესაძლებლობას. ამავე დროს, აღნიშნული კანონები განიცდის ხშირ ცვლილებას.

კომპანიის მენეჯმენტის მიერ აღქმული კანონმდებლობის მოთხოვნების ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება კომპანიის საქმიანობაში, შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს ან არასწორად იქნეს მიჩნეული მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოებმა უფრო ხისტად დაიცვან კანონმდებლობის მოთხოვნის საკუთარი ინტერპრეტაცია. შედეგად, შესაძლებელია კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

(ბ) სასამართლო დავები

კომპანიას არც ბალანსის და არც ხელმოწერის თარიღისთვის არ აქვს სასამართლო დავები.

17. ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები

რაიმე მოვლენა, რაც ამ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხების ცვლილებას ან დამატებით ახსნა-განმარტებებს მოითხოვდა, ბალანსის თარიღის შემდგომ არ მომხდარა.